

სპეციალობის გამოცდის ნიმუში

1. რა არის გეოპოლიტიკა?
2. განმარტეთ ტერმინი „სუვერენული სახელმწიფო“.
3. ჩამოთვალეთ და აღწერეთ ნეიტრალიტეტის ფორმები, დაასახელეთ მაგალითები.
4. ვის ეკუთვნის პოლიტიკური რეალიზმის ექვსი პრინციპი?
 - a) ჰანს მორგენტაუ
 - b) ადამ სმიტი
 - c) სემუელ ჰანტიგტონი
 - d) კარლ ჰაუსჰოფერი
5. ვის ეკუთვნის გეოპოლიტიკური კონცეფცია „ისტორიის გეოგრაფიული ღერძი“ ?
 - a) ფრენსის ფუკოიამა
 - b) ჰელფორდ მაკინდერი
 - c) ზბიგნევ ბჰეჟინსკი
 - d) ფრიდრიხ ნიცშე
6. აღწერეთ ცივი ომის ძირითადი არსი და ასპექტები
7. ჩამოთვალეთ ძირითადი პოლიტიკური იდეოლოგიები
8. აღწერეთ და დაახასიათეთ ტოტალიტარიზმი
9. აღწერეთ ლიბერალური დემოკრატიის მართველობის ფორმა და მისი ძირითადი მახასიათებლები
10. რომელ წლებში მიმდინარეობდა მეორე მსოფლიო ომი
 - a) 1939-1945
 - b) 1941-1945
 - c) 1940-1946
 - d) 1940-1945
11. რა არის სტრატეგია? როგორ აღწერდით სტრატეგიის ძირითად მნიშვნელობას?
12. რომელი დარგია ჩამოთვლილთაგან გეოპოლიტიკასთან მჭიდრო კავშირში?
 - a) პოლიტიკური გეოგრაფია
 - b) ჰუმანიტარული სამართალი
 - c) გეოლოგია
 - d) გეოდეზია

13. ჩამოთვალეთ სახელმწიფოებრივი მოწყობის ტიპები, აღწერეთ თითოეული მათგანი.,
14. აღწერეთ ფრენსის ფუკოიამას ისტორიის დასასრულის კონცეფცია.
15. რას გულისხმობს ტერმინი „თუკიდიდეს ხაფანგი“?
16. ნატო-ს ღია კარის პოლიტიკა გულისხმობს, რომ ალიანსის კარი ღიაა....
 - a) ყველა ევროპული სახელმწიფოსთვის
 - b) ყველა დემოკრატიული სახელმწიფოსთვის
 - c) აზიის სახელმწიფოებისთვის, რომლებსაც შესწევთ უნარი, წვლილი შეიტანონ ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცების პროცესში
 - d) ყველა ევროპული დემოკრატიისთვის, ვისაც შესწევს უნარი, წვლილი შეიტანოს ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცების პროცესში
17. რომელი მათგანი არ შეესაბამება სიმართლეს?
 - a) გაერო-ს გენერალური მდივანი არის ორგანიზაციის უმაღლესი დიპლომატი
 - b) გაერო-ს გენერალური მდივანს ირჩევენ 10 წლის ვადით
 - c) გაერო-ს გენერალური მდივანი ხელმძღვანელობს გაერო-ს სამდივნოს
 - d) გაერო-ს გენერალური მდივანი მიუკერძოებელი ფიგურაა
18. ქვემოთ მოყვანილი რომელი თეორია იზიარებს ტრადიციული მარქსიზმის შეხედულებებს კლასობრივ უთანასწორობასთან დაკავშირებით?
 - a) ურთიერთდამოკიდებულების თეორია
 - b) დამოკიდებულების თეორია
 - c) კონსტრუქტივიზმი
 - d) რეალიზმი
19. რომელი მათგანი შეესაბამება სიმართლეს?
 - a) ფემინიზმის მიხედვით, საერთაშორისო სისტემა თანამშრომლობით ხასიათდება
 - b) ფემინიზმის მიხედვით, მატრიარქატი არის დომინანტი საერთაშორისო ურთიერთობებში
 - c) გენდერი მნიშვნელოვანია და ქალები შესაბამისად არ არიან წარმოდგენილები გადაწყვეტილების მიღების პროცესში მსოფლიო მასშტაბით
 - d) საერთაშორისო დღის წესრიგი გენდერული ასპექტებით ისაზღვრება, რომლის ფარგლებშიც ფემინიზმი მნიშვნელოვან როლს ასრულებს
20. ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის ეროვნული ძალაუფლების ელემენტი:
 - a) ჯარი
 - b) დიპლომატია
 - c) სასაზღვრო პოლიცია
 - d) საგარეო დაზვერვა
21. რას განსაზღვრავს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია?
22. ახსენით კიბერ ომის კონცეფცია და განმარტეთ კიბერშეტევების პოტენციური შედეგები ეროვნულ ან გლობალურ დონეზე. მოიყვანეთ კიბერ ინციდენტების მაგალითები, რომლებსაც ჰქონდათ მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ზეგავლენა.
23. ახსენით განსხვავება ინფორმაციულ უსაფრთხოებასა და კიბერუსაფრთხოებას შორის

მოსამზადებელი ლიტერატურა:

- ენდრიუ ჰეივუდი - პოლიტიკა;
- საერთაშორისო პოლიტიკა -არტი და ჯერვისი;
- Colin Flint. Introduction to Geopolitics: Routledge, 2017;
- International Relations, twelfth edition; Jon C.W. Pevehouse; Joshua S. Goldstein; 2021
- გეოპოლიტიკური აზროვნების ევოლუცია - გიორგი ანთაძე, მონოგრაფია, 2012;
- შალვა ძეგისაშვილი, ნანი მაჭარაშვილი, *უსაფრთხოების და თავდაცვის სფეროში სტრატეგიული დაგეგმვის სახელმძღვანელო*, თბილისი, 2020
- კიბერუსაფრთხოების საფუძვლები - შ. სვანიშვილი, დ. კაპანაძე, თ. ჟვანია - 2020